პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1977 ხუთშაბათი 24 ნოემბერი № 274 (17014) ფასი 2 კაპ. 1977

КОМУНИСТИ— СССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთწლედს — დამკვრელური შრომა

ახლახანს ცნობა მიიღო ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატს ახალი ითხვისის მაღაროთა მმართველმა, საუბილეო წლის მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ამ მოწინავე მაღაროს პირველი ადგილი და ფულადი პრემია მიენიჭა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს მოშიჯნავე საწარმოებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ბევრმა მაღაროელმა უპატაჟა სამშობლოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებათა ვადამდე შესრულება. შრომითი მეტოქეობაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს მოწინავე მაღაროელებმა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ი. ბარბაქაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. გელაშვილმა, გ. ცარცაძემ, ლ. მიხელაძემ და ბევრმა სხვამ.

სურათზე: ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის ახალი ითხვისის მაღაროთა მმართველოს მოწინავე მაღაროელები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვიტალი გელაშვილი, გიორგი ცარცაძე და ლევან მიხელაძე. დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავის დღესასწაულის წინ მათ სამშობლოს უპატაჟეს მეთე ხუთწლედის ორი წლის დავალების შესრულება.

ა. მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა

ლ. ი. ბრეჟნევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის სტატია ჟურნალ „პრობლემი მირა ი სოციალიზმაში“

საბჭოთა კავშირის ისტორიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წელი განსაკუთრებულ ადგილს დიკავებს. ეს არის წელი, როცა მივიღეთ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელშიც ასახულია პარტიისა და ხალხის მთელი რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის შედეგები ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ და მოცემულია შემდგომი კომუნისტური მშენებლობის ნათელი პერსპექტივა.

სსრ კავშირის ახალი ძირითადი კანონი მშრომელთა უფართოესი მასების შემოქმედების ნაყოფია. იგი განსახიერებს მათს გამოცდილებას, ცოდნასა და ნებას, ზრუნვას სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდისათვის.

დიდი ლენინი, როცა განსაზღვრავდა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის ძირითად პრინციპებს, აბმობდა, რომ მისი კონსტიტუცია „თავს უყრის იმას, რაც ცხოვრებამ უკვე მოგვცა და იგი შესწორებული და შევსებული იქნება ცხოვრებაში მისი პრაქტიკული გამოყენებით“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 24). მთავარი, რაც ჩვენს ხალხს მისცა ცხოვრებამ წინა საბჭოთა კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ განვლილი ორმოც წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში, — ეს არის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება, მსოფლიოში პირველი საერთო-სახალხო სახელმწიფოს შექმნა.

1.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ახალი წყობილების სოციალურ-ეკონომიკური სიმწიფის კანონზომიერი საფეხურია ჰომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზის ფარგლებში. ეს, ვ. ი. ლენინის სტატიით რომ ვთქვათ, გულავთ ის მთლიანად დამკვიდრებული სოციალიზმი, რომელიც-ღაც იწყება ბალთალანობითი გადასვლა კომუნიზმზე. სოციალიზმის განვითარების სწორედ ასეთი საფეხურს მიეკუთვნა ჩვენს ქვეყანაში.

როცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა, ჭვრეტდნენ რა მომავალს, სოციალიზმისა და კომუნიზმის კონტურები მოხაზეს, მათ უაღრესი სიფრთხილე გამოიჩინეს. არც ერთი მისხალი უტოპია. არავითარი ფანტაზიები. მხოლოდ ის, რაც შეიძლება მეცნიერულად დამტკიცდეს: განვითარების ძირითადი ტენდენციები, მთავარი, პრინციპული დახასიათებანი. თეორიულად ნათელი იყო, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა მოიცავს ხანგრძლივ ისტორიულ მონაკვეთს, რომ ახალი საზოგადოება სიმწიფის ერთი საფეხურიდან მეორეზე ავა. მაგრამ როგორი იქნებოდა კონკრეტულად ეს საფეხურები — ამისი ცოდნა წინასწარ შეუძლებელი იყო. ფ. ენგელსი წერდა, რომ კომუნისტურ საზოგადოებაზე გარდამავალი ეტაპების საკითხი — „ეს უძნელესი საკითხია ყველა არსებულ საკითხს შორის...“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 38, გვ. 108, რუს.).

ამ კითხვას პირველმა გასცეს პასუხი ლენინმა, რუსეთის კომუნისტებმა. გასაგებია, რომ ლენინი, უპირველეს ყოვლისა ყურადღებას უთმობდა იმ პერიოდის უშუალო ამოცანებს, ახალი საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლების შექმნას. მაგრამ ვინაოსის აზრი ბუდამ წინ უსწრებს თავის ეპოქას. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟე ლენინი ლაპარაკობდა „მზა“, „სრული“, „განვითარებულ“ სოციალიზმზე, როგორც პერსპექტივაზე, როგორც დაწყებული სოციალისტური მშენებლობის მიზანზე. სწორედ ეს ლენინური იდეები დაედო საფუძვლად განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონცეფციას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სხვა მომძმე პარტიების კოლექტიური მეცადინეობით შემუშავდა.

სსრ კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოციალიზმის საფუძვლების შექმნა, ესე იგი ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია და სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრება ჯერ კიდევ არ გვაძლევს კომუნიზმზე უშუალო გადასვლის დაწყების საშუალებას. უწინარეს ყოვლისა უნდა გავიაროთ საკუთარ საფუძველზე სოციალიზმის განვითარების გარკვეული სტადია. თანაც პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სოციალიზმის განვითარება, სრულყოფა, არანაკლებ რთული, ბრძოლიანი პასუხსაგები ამოცანაა, ვიდრე მისი საფუძვლების შექმნა.

ცხადია, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება უნდა ეყრდნობოდეს **მაღალგანვითარებულ საწარმოო ძალებს, მძლავრ, მოწინავე ინდუსტრიას, მსხვილ, კოლექტივისტურ პრინციპებზე დაფუძნებულ მაღალმექანიზებულ სოფლის მეურნეობას.** სწორედ ასეთია დღეს საბჭოთა ეკონომიკა, რომელიც მასშტაბითაც, ტექნიკური აღჭურვილობითაც ძირფესვიანად განსხვავდება იმ ეკონომიკისაგან, რომელიც გვქონდა ოთხი ათწლეულის წინათ, როცა ჩვენში უკვე გაიმარჯვა სოციალისტურმა საწარმოო ურთიერთობამ ქალაქად და სოფლად.

ამ დროის მანძილზე მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა გაიზარდა 18-ჯერ, ეროვნული ენერგოდაუზრუნველობა მრეწველობაში — თითქმის 8-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობაში — 13-ჯერ და მეტად. ჩვენი დღევანდელი ეკონომიკა წარმოუდგენელია ატომური ენერგეტიკის, ელექტრონიკის, გამოსათელი ტექნიკის, ნახევარგამტარი მასალების წარმოებისა და ინდუსტრიის მრავალი სხვა დარგის გარეშე, რომელიც 1936 წელს არა გვქონია. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში იმ დარგების წილი, რომლებიც ხახალო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესსა და ეფექტიანობას განსაზღვრავენ, სიჯერ და მეტად გაიზარდა.

სოციალისტური მშენებლობის პირველ ეტაპებზე საბჭოთა ადამიანები იძულებული იყვნენ თავიანთი რესურსებისა და ძალებისათვის თავი მოეყარათ უპირველესი ამოცანების გადაწყვეტაზე, იმიჯ, რაზეც დამოკიდებული იყო ჩვენი სახელმწიფოს თვით არსებობა. ახლა კი, განვითარებული სოციალიზმის პირობებში, მეელი სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი ზრდის, საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციის უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შეერთების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა ეკონომიკის საგრძნობი შემობრუნება ადამიანთა მრავალფეროვანი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სულ უფრო სრული დაკმაყოფილებისაკენ. სრულიადაც რომ ვთქვათ, ახლა სოციალისტური წარმოების უმაღლესი მიზანი პირდაპირ და უშუალო დგება პარტიის პრაქტიკული პოლიტიკის ცენტრში. ამით უფრო სრულად და მკაფიოდ ვლინდება სოციალიზმის, როგორც წარმოების წესისა და ცხოვრების წესის ისტორიული უპირატესობანი, მისი ჭეშმარიტად ჰუმანური არსი.

სხვაგვარი, შეუდარებელად უფრო მაღალი გახდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონე. მათი რეალური შემოსავალი 1936 წელთან შედარებით 5-ჯერ და მეტად გაიზარდა. არსებითად აუმაღლდა საერთო კულტურისა და განათლების დონე საბჭოთა ადამიანს, რომელსაც ტაუფალდ რიდი უწოდებენ „მსოფლიოში ყველაზე მკითხველ ადამიანს“. ჩვენი ქვეყნის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ახლა სწავლობს დაახლოებით 10 მილიონი კაცი — შვიდჯერ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე ორმოცი წლის წინათ; ძირითადად დამთავრდა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. უფრო შემოქმედებითი და შინაარსიანი გახდა ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მუშაკების, ყველა საბჭოთა ადამიანის შრომა. გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში, კოლექტივიზმისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების სულისკვეთებით უკვე შრომელთა რამდენმე თაობა აღიზარდა, რომელებისთვისაც უცხოა ექსპლოატატორული საზოგადოების ატმოსფერო, რომელიც სრესს, ტრავმას აყენებს ადამიანის ფსიქიკას. საზოგადოებრივ ცნობიერებაში მტკიცედ დამკვიდრდა მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობა.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, როგორც ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, მნიშვნელოვანად **მაღლდება ეკონომიკის განსაზღვრადობის დონე, განუხრელად უახლოვდება ერთმახეთს სოციალისტური საკუთრების სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და ხაკოლმეურნეო - კოოპერაციული ფორმები.** ამ ბოლო წლებში ამის აქტიურად უწყობს ხელს სამეურნეოებათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებისათვის პარტიის გეგმა, რომელიც თანამედროვე პირობების შესაბამისად ავითარებს ლენინური კოოპერაციული გეგმის იდეებს. ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მოქმედებს 7 ათასზე მეტი სამეურნეობათაშორისო ორგანიზაცია და გაერთიანება, რომელებიც სახელმწიფო საწარმოებისა და კოლმეურნეობების ერთობლივი მეცადინეობით შეიქმნა. ეს ასეთი მოვლენა ჩვენს სოციალურ-ეკონომიკურ პრაქტიკაში.

ლრმა ძვრები მოხდა ხაბჭოთა ხაზოგადოების სოციალურ ტრუქტურაშიც. საბჭოთა მუშათა კლასი, რომელიც მისი წამყვანი ძალაა, დღეს 70 მილიონზე მეტ კაცს ითვლიანებს და ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის ორ მესამედს შეადგენს (1936 წელს კი მხოლოდ მესამედი იყო). დღენიადაგ მატულობს მუშათა საზოგადოებრივი აქტიურობა და პოლიტიკური სიმწიფე, მათი მონაწილეობა სახელმწიფოს პირთვაში. მუშათა წილი ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა შორის უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე ხუთჯერ გაიზარდა და 42 პროცენტს გადაკაბარა. სულ უფრო უმჯობესდება მუშათა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება. ახლა უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლება აქვს მუშათა 73,2 პროცენტს, ორმოცი წლის წინათ კი მათი რიცხვი 8 პროცენტსაც კი არ შეადგენდა. განვითარებული სოციალიზმის პირობებში და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაელვნით იზრდება ახალი ტიპის წარმოების მუშაკი, რომლის საქმიანობაში სულ უფრო ჰარმონიულად ირწყმის ერთმანეთს ფიზიკური და გონებრივი შრომა.

არსებითად შეიცვალა ჩვენი კოლმეურნე გლეხობაც. თავისი სოციალური მდგომარეობით ეგი სულ უფრო უახლოვდება მუშათა კლასს, ხოლო მისი განათლების დონე და ცხოვრების წესი ახლა უკვე ხშირად ბევრად არ განსხვავდება ქალაქურისაგან. ახლანდელი გლეხისათვის, რომელიც კოლმეურნეობაში დაიბადა და გაიზარდა, დამახასიათებელია კოლექტივისტური ფსიქოლოგია, მაღალი იდეურობა, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის ერთგულება.

მთელ თავის შემოქმედებითს ენერგიას ახმარს ახალი საზოგადოების აშენების საქმეს ჩვენი ინტელიგენცია, რომელსაც უტტესად მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსულნი ადამიანები ავსებენ. ეს საბჭოთა მშრომელების რაზმია, რომელიც ყველაზე სწრაფად იზრდება. გასული ოთხი ათეული წლის მანძილზე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი მრეწველობაში 34-ჯერ გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობაში — 47-ჯერ.

სოციალიზმმა საბჭოთა ადამიანს გაუფეთქა ჭეშეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონის გრძნობა, ჩაუნერგა მისწრაფება დაეუფლოს სოციალისტურ საწყისებზე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელობის ლენინურ მეცნიერულ და ხელოვნებას. მშრომელთა უფართოესი მასები სოციალიზმის კადრების ფორმირების დაუშრეტელი წყაროა გახდა. ესენი არიან ადამიანები, რომლებშიც ორგანულად არის შერწყმული პარტიულობა და ღრმა კომპეტენტურობა, მაღალი პოლიტიკური შეგნება და ახლის განვითარებული გრძნობა, იმის უნარი, რომ კრიტიკულად შეაფასონ თავისი საქმიანობა და ფიზიკურ ბრძოლაში ალიონ ყურად მყოფების ხმა.

განვითარებული სოციალიზმის შექმნის პროცესში გიფართოვდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წყობილების სოციალური საფუძველი. მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ალიანსი თავისი განვითარება პოვა ამ კლასების მტკიცე პოლიტიკურ და იდეურ ერთიანობაში სახალხო ინტელიგენციასთან, რომელიც ახლა მთლიანად და საკმაოდ სოციალიზმის პოზიციებზე დგას. მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, ფიზიკური და გონებრივი შრომის ყველა მუშაკის ურღვევი კავშირი, რომელიც სსრ კავშირში ჩამოყალიბდა, კომუნისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებების უმნიშვნელოვანეს წყაროს და გარანტს წარმოადგენს.

ჩვენს ქვეყანაში განვითარებული სოციალიზმის დიდმნიშვნელოვანი ნაშაბი, საბჭოთა საზოგადოების მზარდი ერთგვაროვნობის მაჩვენებელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება გახდა **ისტორიულად ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობლივობა — საბჭოთა ხალხის შექმნა.** ეს ნიშნავს, რომ ჩვენში თანდათანობით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ადამიანების ცხოვრებ, ხასიათის, მსოფლმხედველობის საერთო, სოციალური და ეროვნული განსხვავებისაგან დამოუკიდებელ თვისებებს.

სოციალისტური საკუთრების სხვადასხვა ფორმების დაახლოებინა, ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების თანდათანობით გაქრობის, მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკურ პოზიციებზე, ყველა მშრომელის გადასვლის შედეგად მოსახლეობის ყველა ფენის რეალური ინტერესები და მიზნები, სოციალური იდეალები და ფსიქოლოგია ჩვენში ისე დაახლოვდა, როგორც არასოდეს ყოფილა წინათ. ამის საფუძველზე არსებითი ცვლილებები მოხდა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაშიც. მათი არსია **პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს გადაზრდა საერთო-სახალხო სოციალისტურ სახელმწიფოდ.**

ასეთია ის ობიექტური პროცესები, რომლებმაც ჩვენი პარტია მიიყვანა დასკვნამდე, რომ **სსრ კავშირში ახლა აშენებულია განვითარებული სოციალიზმი,** ანუ **მძლეველია ასეთი საფეხური, ახალი საზოგადოების სიმწიფის ისეთი ეტაპი, როცა მთავრდება ხაზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი ერთობლიობის გარდაქმნა სოციალიზმისათვის შინაგანად დამახასიათებელ კოლექტივისტურ საწყისებზე.** ფართო სარბიელი სოციალიზმის კანონების მოქმედებისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მის უპირატესობათა გამოვლენისათვის, სოციალიზმი ორგანულად ეწინააღმდეგება ეგზისტენციალიზმს, ეს ეგზისტენციალიზმი ბოლოს ბოლოს ეფუძნება ადამიანის ბუნებრივ ბოროტებას, ადამიანის ბუნებრივ ეგოიზმს, ადამიანის ბუნებრივ ბოროტებას, ადამიანის ბუნებრივ ბოროტებას, ადამიანის ბუნებრივ ბოროტებას

კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა

(დასასრული).

გიანალიზებინა, დაეჯგუფებინა შემოსული წინადადებანი, სანამ თვის რეკომენდაციებს წაროდგენდა დასამტკიცებლად უმაღლეს საბჭოს, რომელმაც გაითვალისწინა საყოველთაო-სახალხო დისკუსიის დროს გამოთქმული ყველა აზრი და შესწორებანი შეიტანა 118 (173-დან) მუხლში და ერთი ახალი მუხლი დაუმატა.

ასე რომ, როგორ ვამბობთ, კონსტიტუციის ნამდვილი შემოქმედი მთელი საბჭოთა ხალხია. ეს არც გაზვიადება და არც ლამაზი ფრაზაა, ეს ფაქტია. და იგი მოწმობს, რომ ჩვენში მშრომელება ჩამოშორებული არ არიან პოლიტიკურ ხელისუფლებას, რომ მთლიანად დაეძლიეთ მასების უნდობლობა ყოველივე სახელმწიფოებრივისადმი, რაც ოდითგანვე ახასიათებს ექსპლოატატორულ საზოგადოებას.

კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს საბჭოთა ადამიანებმა მთლიანად გამოავლინეს თავიანთი პატრიოტული ვალი ერთმანეთის მიმართ, ხელი დამოკიდებულება საზოგადოებისადმი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვმუშაობთ ერთ-ერთ ფუძეებზე ახალი ძირითადი კანონი საბჭოთა ადამიანს მეტ უფლებებს ანიჭებს პირადი ინტერესების დაცვაში. გაძლიერდა მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების გარანტიებიც. მაგალითად, სრულიად ნათელია, რომ კრიტიკის უფლება უფრო შინაარსიანი ხდება, როცა იგი განეკუთვნება, როგორც ეს ჩვენში გაკეთდა, კრიტიკისთვის ფეხის კონსტიტუციური აკრძალვით და პასუხისგებაში მიეცემან პირნი, რომლებიც დაარღვევენ ამ აკრძალვას.

ახლა გადავიდეთ სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებზე, რომლებიც ადამიანთა ცხოვრების თვით საფუძველს ეხება. მოვიყვანგ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს, რომელთა მიხედვითაც შეგვძლია ვიმსჯელთ ამ დარგში მომხდარ ძვრებზე. შრომის უფლება მრავალი თვალით წელია ჩვენში ჩვეული ნორმა გახდა. ღღეს იგი შეიცავს მოწოდებას, პროფესიულ მომზადებისა და სხვათა შესაბამისად პროფესიის, საქმიანობისა და მოღვაწეობის დარგის არჩევის უფლებას. ახლა ჩვენ შეგვიძლია ამის გარანტია მივცეთ მოქალაქეებს, რადგან შეექმნენი ეკონომიკა, რომელიც არა მარტო სტაბილურად მზარდი, არამედ სულ უფრო მრავალმხრივ მოთხოვნას გვიყენებს მუშახელზე, სპეციალისტებზე. ჩვენ შეგვიძლია ამ უფლების გარანტირება იმიტომაც, რომ შეექმენით ზოგადი და სპეციალური განათლების, პროფესიული სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლების დიდად განვითარებული სისტემა.

ახალი კონსტიტუცია ამკიდრებს ადამიანისათვის საარსებო მნიშვნელობის უფლებას — ბინის უფლებას. წინა კონსტიტუციაში ამის თაობაზე არაფერი არ იყო ნათქვამი. ახლა მას საიმედო მატერიალური საფუძველი შეექმნა. ამჟამად ყოველწლიურად შეიჯერ მეტი ბინები შენდება, ვიდრე 1936 წელს. მოხუცებულობის დრის მატერიალური უზრუნველყოფის უფლება წინა კონსტიტუციაშიც იყო ჩაწერილი. მაგრამ ახლა 1936 წელთან შეფარდით ხანდასხვანი ადამიანების რიცხვი, რომლებიც ამ უფლებას იყენებენ, რამდენიმე ათეულჯერ გაზრდილა. სახელმწიფო პენსიის საშუალო ოდენობაც თითქმის გაორმაგდა.

სწორედ ის, რომ სოციალისტური დემოკრატია აცხადებს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებსაც, ის, რომ იგი არა მარტო აცხადებს მათ, არამედ სამედიცინო უზრუნველყოფს კიდეც, არის ერთ-ერთი პრინციპული განსხვავება ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან. მოქმედებული სოციალიზმის საზოგადოებაში, როცა დიდად არის განვითარებული მისი ეკონომიკური პოტენციალი, სოციალისტური დემოკრატიის ეს განსხვავებული ნიშანი განსაკუთრებით რელიეფურად ვლინდება.

ჩვენი დემოკრატია ფართო საარჩიელის აძლევს მოქალაქეების, მათი წარმომადგენლების და ორგანიზაციების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ აქტიურობას და ამ აქტიურობას წარმართავს მიზნებისათვის, რომელთა მიღწევით დაინტერესებულია მთელი ხალხი, მთელი საზოგადოება. ამასთანავე მან უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის პრავალფეროვანი საეციფიკური ინტერესების გამოხატვა, დაუკავშიროს და შეუთანხმოს ისინი მთელი საზოგადოების ინტერესებს. ამ თვალსაზრისით დიდია **საზოგადოებრივ ორგანიზაციათა როლი.**

მაგალითად, „შრომელთა ინტერესების დაცვა პროფკავშირების აუცილებელი საზრუნავია. ისინი გამეფდნენ, შეუპოვრად მოქმედებენ, როცა ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი ივიწყებს შრომის კანონმდებლობის ნორმებს, მშრომელთა სოციალურ საჭიროებებს. შარშან პროფკავშირული კომიტეტების მოთხოვნით 10 ათასამდე ასეთი ადმინისტრატორი გათავისუფლდა თანამდებობიდან. მაგრამ ჩვენში არ არსებობს ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის ძირეული კონფლიქტი შრომასა და კაპიტალს შორის, მუშასა და მეწარმეს შორის. ასეთ პირობებში პროფკავშირები ყველაზე კარგად მაძინ გამოხატავენ მშრომელთა ინტერესებს, თუ უზრუნველყოფენ წარმოების, მთელი საზოგადოების საქმეთა მართვაში მათ მონაწილეობა ორგანიზაციას. ამის შედეგი, მაგალითად, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების ინიციატორობა. ახლა ჩვენს ქვეყანაში 130 ათასი ასეთი თათბირია. მათი შემადგენლობის 64 პროცენტი მუშაა. თათბირებიდან ყოველწლიურად 1,5 მილიონამდე წინადადება შემოდის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შესახებ. ცხადია, რომ ეს დიდად სასარგებლოა სახალხო მეურნეობისათვის. თანაც ამით ამის მატერიალური შესაძლებლობანიც თანდათან, რომ „ეკეთ დავამაყაოფილოთ თვით მშრომელების სოციალური და საყოფაცხოვრებო საჭიროებანი.

ან ავიღოთ კომკავშირი — ჩვენი ახალგაზრდობის ორგანიზაცია. ახალგაზრდობას ახასიათებს რომანტიკისადმი მისწრაფება. და როცა კომკავშირი ასიათასობით ქალიშვილსა და ჰაბუკს ამბობ, მაგალითად, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაში, ამით იგი ახალგაზრდობის სპეციფიკურ ინტერესს უხმობს საერთო-სახალხო ინტერესს — ციმბირის ახალი სატრანსპორტო არტერიის შექმნას.

ერთი სიტყვით, სოციალისტური დემოკრატიზმი უზრუნველყოფს მზარდ მრავალფეროვან საზოგადოებრივ ინტერესებზე გულისხმიერ რეგირებას, ფართო ასპარეზს უქმნის მასების ინიციატივას და სოციალურ-პოლიტიკურ თვითმოქმედებას.

სოციალისტური სახელმწიფოებრიობისა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარება ისეთი პროცესია, რომელშიც მთავარი როლი განეკუთვნება კომუნისტების პარტიას. ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლი ნათელია ბურჟუაზიის კომუნისტურ პარტიას მიანიჭა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ, საბჭოთის მთელმა სამოცი წლის ისტორიამ. პარტიის ეს როლი მკაფიოდ აისახა საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში.

საბჭოების საქმიანობას რომ ხელმძღვანელობს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სრულიადაც არ ეწევა მათ მაგიგრობას, ზუსტად მიჯნავს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებს, თავის გეზს ახორციელებს უწინარეს ყოვლისა საბჭოებში მომუშავე კომუნისტების მეშვეობით. ამ ლენინური პრინციპის არსი მკაფიოდ არის გამოხატული ჩვენს ძირითად კანონში, რომელიც მეგვითითებს, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებს. საბჭოთა კომუნისტებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, კარგად ესმით, რომ ჩვენს სახელმწიფოსა და საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის კონსტიტუციური განმტკიცება სრულიადაც არ ანიშნებს პარტიას რაიმე პრივილეგიას. პირიქით, ეს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მას, რადგან თავის წარმმართველ როლს პარტია ძალაუფლების მეშვეობით კი არა, მასებში თავისი მაღალი პოლიტიკური ავტორიტეტისა და იდეური გავლენის მეშვეობით ახორციელებს.

ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ბუნებისათვის დამახასიათებელი დემოკრატიზმის გაფართოების ინტერესებს ემსახურება ლენინისეული, რომლისაც ღღეისადგ მიმართავს პარტია სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად.

თანამედროვე ანტიკომუნისტურმა პროპაგანდამ, რომელიც ცდილობს სახელი გაუტეხოს საბჭოთა სისტემას, როგორც ცნობილია, სუნსტადრატულ ხერხად გაიხადა უკანონო რეპრესიების, დემოკრატიისა და სოციალისტური კანონიერების პრინციპების დარღვევების დამოწმება, რაც ხდებოდა პიროვნების კულტის წლებში. თანაც, ცხადია, ჩქმალავენ იმას, რომ სწორედ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ საქეყნოდ და უკომპრომისოდ დაგმო ასეთი პრაქტიკა, რომელიც კონსტიტუციურ დებულებათა წინააღმდეგ ხორციელდებოდა, დიდი მუშაობა გასწია პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების დასამკვიდრებლად, მტკიცე გარანტიები შექმნა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და მოქალაქეთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ.

დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება კომენისტებს მუდამ მიაჩნდათ სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა ქმედითი იარაღად. საკუთარი უფლებების ცოდნა, ახალი საზოგადოების მშენებლობის ინტერესებისათვის მათი გამოყენების უნარი საბჭოთა ადამიანის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, მისი მაღალი პოლიტიკური კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიშანთვისებაა, რომლის ჩამოყალიბება და განვითარება ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში იყო და არის. ცხადია, პოლიტიკური კულტურის განუყოფელი ელემენტია მოქალაქის მიერ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება, თავისი იმ მაღალი პატრიოტული მოვალეობის შეგნება, რომ პატიოსნად და კეთილსინდისიერად შრომობდეს ხალხის საკეთილდღეოდ, მუდამ მზად იყოს ოქტომბრის სამშობლოს რევოლუციურ მონაპოვართა დასაცავად. ის აზრი, რომ მოქალაქეობრივ მოვალეობათა შესრულება დემოკრატიის ისეთივე აუცილებელი ელემენტია, როგორც უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება, კონსტიტუციის პროექტის გამო დისკუსიების ძალიან ბევრმა მონაწილემ გამოთქვა. და ეს იდეა, მკაფიოდ არის გამოხატული ჩვენი ძირითადი კანონის შესაბამის მუხლებში.

ჩვენ მტკიცედ ვადგავართ იმ პოზიციას, რომ სოციალიზმის დემოკრატია შეუთავსებელია როგორც ყაზარმულ-ბიუროკრატიულ წესებთან, ისე სოციალისტური პრინციპების, ნორმებისა და კანონების მიმართ ანარქიულ თვითნებობასთან. ცნობილია, რომ პირველი ინტერნაციონალის, მარქსისა და ენგელსის მიერ შექმნილი ინტერნაციონალის დროშაზე წარწერილი იყო: „არ არსებობს უფლებები უმოვალეობოდ, არ არსებობს მოვალეობანი უუფლებებოდ“. მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ეს ლოზუნგი დღეს საბჭოთა მშრომელების ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პრინციპად გადაიქცა.

სოციალისტური დემოკრატიის ჩამოყალიბება და განვითარება რთული საქმეა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ აქ გვაქვს გადაუჭრელი პრობლემებიც და სიძნელეებიც. უნდა დავამთავროთ დიდი მუშაობა, რათა ახალ კონსტიტუციას შეეუსაბამოთ ჩვენი კანონმდებლობის ყველა ნორმა. ჩვენი აზრით, ბევრ რეზერვს შეიცავს სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის მუშაობის გაუმჯობესება, აპარატისა, რომელიც კიდევ უფრო მეტი გულისხმიერებით უნდა ეკიდებოდეს მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას, საზრუნავსა და საჭიროებებს. მეტ მომთხოვნელობას, მეტ ქმედითობას მოველით სახალხო კონტროლის ორგანოებისგანაც, რომელთა მნიშვნელობა და ავტორიტეტი ამაღლა ძალაში შესულმა კონსტიტუციამ.

ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა სრულყოთ საბჭოთა დემოკრატია, განვავითაროთ ჩვენი სახელმწიფოებრიობა კომუნისტური საზოგადოებრივი თვითმმართველობის მიმართულებით. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებით კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა ყველა ქვეყნის კომუნისტთა ამ დიდი მიზნის მიღწევის გზაზე.

3.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების გამოცდილება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, გულგრილს არ ტოვებდა არც სოციალიზმის მომხრეებს და არც მის კლასობრივ მოწინააღმდეგეებს. ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში დამკვიდრებული საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარებაში მომხდარი დიდი ძვრები, თვით მისი განხილვისა და მიღების პროცესი მთელი პლანეტის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მიმართულება, რომლებიც ამ ფენომენში ნაჩვენები. ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ამ დიდი მოვლენის საერთაშორისო მნიშვნელობა.

უწინარეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის ახალ კონსტიტუციას წვლილი შეაქვს სოციალიზმის მშენებლობის თეორიასა და ინტერნაციონალურ პრაქტიკაში, როცა ამდიდრებს მათ ისტორიაში პირველი საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზაციის გამოცდილებით.

ავლენდა რა რევოლუციური გამოცდილების ინტერნაციონალიზაციას, ყოველივე ამ სავულისხმოს შემოქმედიანთა ათეულების პრინციპულ მნიშვნელობას, რასაც იძლევა მთელი მსოფლიოს შრომელთა ბრძოლა, ლენინი აღნიშნავდა, რომ ახალი საზოგადოების აშენების თითოეული, ალბე ალბელი ცდა შეიძლება ასე თუ ისე ცალმხრივი, არასრული იყოს, რომ „მთლიანი სოციალიზმი“ იქმნება „**ყველა** ქვეყნის პროლეტართა რევოლუციური თანამშრომლობით“ (ტ. 27, გვ. 414).

ცნობილია, რომ მომძე ქვეყნები, რომლებიც ჩვენზე გვიან დაადგნენ სოციალიზმის გზას, თავიანთი კონსტიტუციების შემუშავებისას ითვალისწინებდნენ საბჭოთა კანონმდებლობის მიღწევებს, რომელიც მაშინ სოციალისტური სახელმწიფო შენებლობის პრაქტიკული გამოცდილების ერთადერთი წყარო იყო. ამჟამად ბევრი ასეთი ქვეყანა სახვეს ხედავ წარმატებით წყვეტს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნის ამოცანას, და, როგორც ამ სახელმწიფოების ხელმძღვანელები და პრესა აღნიშნავენ, ახალი საბჭოთა კონსტიტუცია სასარგებლო დოკუმენტია მათი საკუთარი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრისათვის.

სსრ კავშირის ახალი ძირითადი კანონის შემუშავებისას ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ეეყრდნობოდით არა მარტო საბჭოთა ისტორიის კონსტრუქციურ გამოცდილებას, არამედ მთელი ყურადღებით მოვეკიდეთ სხვა სოციალისტური ქვეყნების პრაქტიკასაც. ამან, კერძოდ, საშუალება მოგვცა გავვიმდიდრებინა კონსტიტუციის იმ ცალკეული მუხლების შინაარსი, რომლებიც შეეხება მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს, გავვეუმჯობესებინა მისი ზოგადი სტრუქტურა.

საერთოდ ეს სხვა არა არის რა, თუ არა სოციალისტური სახელმწიფო მშენებლობის კოლექტიური გამოცდილების დაგროვება. და რაც უფრო მდიდარია ეს გამოცდილება, მით უფრო მკაფიოდ მეღვნდება სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის ფორმირებისა და განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი, უფრო სრულად ვლინდება მათი ინტერნაციონალური მნიშვნელობა. საქმის არსი, რა თქმა უნდა, ის არ არის, რომ იქმნება ბაღაც შაბლონები, რომლებიც ბრმა მიბაძვასა ყოფილა. არსი ის არის, რომ მუშაობდა მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად შემოწმებული ორიენტირები, რომლებიც გვეხმარება სხვადასხვა ქვეყნის კონკრეტულ პირობებში გამოვნახოთ სოციალისტური სახელმწიფოებრიობის, სოციალისტური დემოკრატიის დამკვიდრებისა და განვითარების რთული პრობლემების სწორი გადაჭრის გზა.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ასეთი ორიენტირები შეიძლება სასარგებლო იყოს არა მარტო უშუალოდ სოციალიზმის მშენებლობაში, არამედ მისკენ მიმავალ გზებზეც. ამას მოწმობს, მაგალითად, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებში ახალ საბჭოთა კონსტიტუციაზე მრავალი გამოხმაურების ხასიათი. ამ ქვეყნების თვალსაჩინო მოღვაწეები და პრესა აღნიშნავენ, რომ ჩვენს კონსტიტუციაში ასახული სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება ბევრ მნიშვნელოვან რამეს შეიცავს ხალხებისათვის, რომლებიც კოლონიური დამოკიდებულებისგან გათავისუფლების შემდეგ დგანან განვითარების შემდგომი გზის არჩევანის წინაშე, ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების პრობლემების წინაშე.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობის განსაზღვრავს, შემდეგ მისი უეჭველი **ზემოქმედება ორი მსოფლიო სისტემის თანამედროვე კონფრონტაციის მსვლელობაზე.**

თვით თავისი არსებობის ფაქტით, თავისი მაგალითით სოციალიზმი ყოველთვის ახდენდა პოზიტიურ გავლენას კაპიტალისტური ქვეყნების საშინაო ცხოვრებაზე, ეხმარებოდა პროგრესული ძალების სამართლიან ბრძოლას. ახალი კონსტიტუცია, რომელმაც შეისისხლხორცა ოქტომბრის გზით ჩვენი ქვეყნის განვითარების მთელი სამოცი წლის გამოცდილება, ზრდის სოციალისტური მაგალითის მიმზიდველ ძალას. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს მშრომელი ადამიანების ინტერესებისათვის საზოგადოებრივი განვითარების ძირეული პრობლემების ეფექტიანი და ნამდვილად დემოკრატიული გადაჭრის პრაქტიკულ გზებს.

კონსტიტუციაში ხორცშესხმული სიმართლე სოციალიზმის, მისი დემოკრატიის შესახებ მსოფლიოს კომუნისტებს აძლევს ქმედითს იდეურ იარაღს ჩვენი საერთო კლასობრივი ბრძოლა — იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას აღნიშნავენ ბევრი კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელი. რასაკვირველია, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუცია არ ეპიტნავათ ამათ, ვინც იბრძვის სოციალიზმის წინააღმდეგ, ვინც არც ძალ-ღონეს, არც სახსრებს არ ეშურების, ოღონდ არ გაამარჯვებინოს ახალ წყობილებას. 1977 წლის 4 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე გაკეთებულ მოხსენებაში მე უკვე ვილაპარაკე კონსტიტუციის პროექტზე ჩვენი ბურჟუაზიული ოპონენტების ყველაზე დამახასიათებელი თავდასხმების შესახებ. კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ ამ მხრივ სურათი არ შეცვლილა. ასე რომ, აქ გამეორება ზედმეტად მომაწყინა. მკითხველებს შეუძლიათ გაეცნონ ჩვენს პოზიციას ამ საკითხში, თუ წაიკითხავენ მოხსენების ტექსტს, რომელიც გარჩეულია ბურჟუაზიული პროპაგანდის არგუმენტები, ნაჩვენებია, რომ ისინი ხელოვნური და თვალთმაქცურია.

ჩვენ ვიცით, მსოფლიოში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებსაც ბრმად სწამთ პროპაგანდის მონაკვორები, ჩიჩქს რომ სცხებს საბჭოთა სახელმწიფოს, სოციალისტურ დემოკრატიას. დარწმუნებული ვარ, რომ, თუ მსოფლიო საზოგადოებრიობა უფრო ფართოდ გაეცნობა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას, ჩვენი ხალხის ცხოვრებას, უფრო ნაკლებად იქნებიან ასეთი ადამიანები. ამასთან დაკავშირებით მინდა მადლობა გადავუხადო მსოფლიოს არასოციალისტური ნაწილის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს,

მექანიზატორთა ზრომითი გამარჯვებები

„საკსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურმა გაერთიანებამ ხუთწლედის ორი წლის გეგმა-მინდობილა

მეათე ხუთწლედის ორი წლის დავალებები ვადამდე შესრულდა, — ასეთია „საკსოფლტექნიკის“ მტკიცე გადაწყვეტილება.

უკვე 101 პროცენტით არის გაწაღდებული პროდუქციის რეალიზაციის, ხამუშაოთა და მომსახურების ხუთწლედის ორი წლის გეგმა. გაერთიანებამ 110.3 პროცენტით შესრულა პროდუქციის რეალიზაციის ხამუშაოებისა და მომსახურების მიმდინარე წლის 10 თვის გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15.772 ათასი მანეთისა შესრულებულია 16.657 ათასი მანეთის ხარჯმოტეო ხამუშაოება.

სამშობლოს მეათე ხუთწლედის ორი წლის სახელმწიფო გეგმების შესრულება ჯერ კიდევ 1 სექტემბრისათვის ოპატიჯა სართიანელის მექანიზებულ საქმაოთა სარაიონთაშორისო გაერთიანებამ. კვლავ სასახელოდ იშრომა ბორის რაიონული გაერთიანების სატრაქტორო ბრიგადამ. ბრიგადამ სოციალისტური შრომის გმირის **გ. ცერცვაძის** ხელმძღვანელობით სეპტემბრისათვის ორი წლის გეგმა-ვალდებულება გაანდა. ოქტომბერში ორი წლის სახელმწიფო ვეგმები შეასრულეს ყვარლის, დმანისის, ხაშურის, ახალციხის, მცხეთის და თეთრი წყაროს რაიონულმა გაერთიანებებმა, ნოემბერში კი — **გორის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ახთენძის, დუშეთის, მარნეულის, ხამ-ტრედის, წალენჯიხის, შუახევის, ბაღდათის** რაიონული გაერთიანებებმა.

შრომითი წარმატებების მოპოვებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსთაველთა თაოსნობის მიბაძვით ბრძოლამ ომისთვის, რომ საიუბილეო წელს გაერთიანებების სისტემაში არ ყოფილიყო არც ერთი ჩამორჩენილი და ზარალიანი ორგანიზაცია. თუ შარშან 9 თვეში სისტემაში იყო 18 ჩამორჩენილი ორგანიზაცია, მიმდინარე სიიუბილეო წლის იმავე პერიოდში 122 ორგანიზაციიდან მხოლოდ ხუთი ვერ ასრულებს საგეგმო დავალებებს. შეორე კვარტალის გეგმა-ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა სართიჭალის მექანიზებულ სამუშაოთა სარაიონთაშორისო გაერთიანების კოლექტივს. მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით კი — მეცხოველეობის მექანიზაციის სპეციალიზებულ № 2 ტრესტს.

ა. ბერუაშვილი,
რესპუბლიკური გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ კადრების სამმართველოს უფროსი, პარტბიუროს მდივანი.
თ. ფიფია.

მეციტრუსეები ტემპს აჩქარებენ

ბათუმი, 22 ნოემბერი. (საქინფორმის კორ.). აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა გადაწყვიტეს წელს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მისცენ 1000 ტონაზე მეტი მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი.

ციტრუსების კრეფა აქ გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით მიმდინარეობს. ყოველდღიურად მზადდება 15 ტონამდე მანდარინი.

— მოსავლის ასაღები სამუშაოები რომ ამ ტემპით წარმმართოს, — თქვა მეურნეობის წარჩინებულმა მეციტრუსემ, მეორე ბრიგადის ხელმძღვანელმა ამორან სურმანიძემ, — კრეფას 20 დეკემბრისათვის დავამთავრებთ. სწორედ ასეთ კურსს ადგას საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. ვიდა მეტად შემჭიდროებული, მაგრამ რეალური რა.

თბილი ამინდი ხელს უწყობს ციტრუსების წარმატებით კრეფას. ხალხი ადრე დილიდან გვიანობამდე მუშაობს, ესმის, რომ ციტრუსის კრეფის გაჭიანურება შეუწყნარებელია. უმცირეს ყინვასაც კი შეუძლია დაღუპოს მოსავალი. მოწინავე მუშები ითვე ვაშაყმაძე, ლუდა გრიგორიანი და სხვები ორ ნორმასაც ფლ შეტს ასრულებენ.

ციტრუსების კრეფა გაჩაღებულია ქობულეთის რაიონის ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში. საქართველოს ამ უდიდეს მეციტრუსეობის მეურნეობას კომუნისტური შრომით ეგებება „ბაკურიანი“ — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, ინდოეთისა და სხვა სახელმწიფოების მეციხრეები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. ნურიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ვ. ალკარლოვი. (საკდესი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 22 ნოემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდა ამბ. გრიგოლ გიორგის ძე **ხანაკოევი,** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი, — რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბიუროს წევრი — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, ინდოეთისა და სხვა სახელმწიფოების მეცნიერება.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ნ. ნურიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ვ. ალკარლოვი. (საკდესი).

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრთა კომიტეტის სხდომის შესახებ

1977 წლის ნოემბრის დამლევს—დეკემბრის დასაწყისში ბუდაპეშტში გაიმართება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრთა კომიტეტის სხდომა.

გათვალისწინებულია სხდომაზე განიხილონ გარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო ორგანოების მიმდინარე საქმიანობის საკითხები.

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესია

21 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესია, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. სესიის მონაწილეებმა განიხილეს ჩვენი ქვეყნის აგრარული მეცნიერების მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოპოვებული მიღწევები და ამოცანები, რომლებიც მეცნიერთა წინაშე დგას სახალხო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების საქმეში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. კ. მესიაცმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ბ. პ. ლობანოვმა, ამ აკადემიის აკადემიკოსებმა ვ. ნ. რემეზოვმა, ი. ი. სინაგინმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ყურადღების მეობებით ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ბიუროს თავიანთი ინიციატივა ეკისრა ამ ... ...

თითოეულისა და ყველას საზრუნავი

ტყის — სამყაროს ამ მარადიული მწვანე ფილტვების მოვლა-პატრონობა, დაცვა — მეტად პასუხსაგები და რთული ამოცანა ჩვენს რესპუბლიკაში აკისრია საქართველოს მიჩაჩვეთა ორგანოთა-სთან კოლეგიტიას, რომლის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სარყეო მეურნეობის, სახელმწიფო კომიტეტი — საქართველოს მეტყევეთა რესპუბლიკური შრომა.

მშობლიური პარტია, საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ ტყის — ამ ეროვნული ორგანოზმის — ბუნებრივი რესურსების კომპლექსური და რაციონალური გამოყენებისათვის, ამ ფასდაუდებელი სიმდიდრის ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში ჩაყენებისათვის. სსრ კავშირის კონსტიტუციით იგი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებად არის აღიარებული, ხოლო მისი დაცვა — კანონით განმტკიცებული.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება — ტყის მდგომარეობისა და დაცვის, სატყეო მეურნეობის გაძღოლის შემდგომი გაუმჯობესებისა და რესპუბლიკის ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის შესახებ. ამ დოკუმენტმა ქართველი მეტყევეების წინაშე სერიოზული ამოცანა და მრავალი გადაულდებელი პრობლემა დააყენა: ეს არის ტყის გაშენება, გამრავლება, დაცვა და გონივრული გამოყენება, ტყესაჩიდი და სატყეო საქეურნეო გზების გაყვანა, მთა-გორიანი პირობებისათვის ახალი ტექნიკის შექმნისა და ინსენტების მაქსიმალურად გამოყენება. ყველაზე მტკივნეული პრობლემა მაინც ტყის უნებართვოდ ჭრების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება მიიჩნევა. საგულისხმოა, რომ ეს არა მარტო ტყის მუშაკთა, არამედ მთელი საზოგადოებრიობის საზრუნავია.

ამ და სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხებზე გაიმართა პრენციპული სხა-ბაასი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის საქმეთა კომიტეტის აპარატის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც მწვავე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით მიმდინარეობდა.

მოხსენებაში, რომელიც კრებას წარუდგინა პარტბიუროს მდივანმა ჯ. რეხილაძემ, აგრეთვე კომუნისტების გამოსვლებში აღინიშნა, რომ კომიტეტმა, რომელიც თავის მუშაობას საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენების შესაბამისად წარმართავს, გარკვეულ წარმატებას მიაღწია ტყეების დაცვის, აღდგენის და ტყის რესურსების გამოყენების საქმეში. ტყის სიმდიდრის გასამრავლებლად მიმდინარეობს მემორიალური ტყეების შექმნა, საიუბილეოდ დარგულია 60 მილიონეხე, მიმდინარეობს ტყის აღდგენილი და ბუნებრივი განახლების სამეშაოები, ტყის კულტურების და ეროზიორბული ფართობების გაშენების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

ეს შედეგები, როგორც აქ სამართლიანად აღინიშნა, თავისით როდი მოვიდა, ისინი იმან განაპირობა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიების მიხედვით შეიქმნა შრომისა და შემოქმედების ჯანსაღი ატმოსფერო, რის შედეგადაც გაძლიერდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა და კომუნისტთა ავანგარდული როლი, ამაღლდა მათი გავლენა შრომითს კოლექტივებზე.

მართალია, რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მუშაკთა კოლექტივს აქვს გარკვეული მიღწევები, სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა. მაგრამ კომუნისტების აზრით, ეს მათი მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ამ სისტემაში, რომელზეც განსაკუთრებით ცუდი გავლენა მოახდინა ახლო წარსულის ნეგატიურმა მოვლენებმა, ნაკლოვანებათა დაძლევა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ერთგვარ მიღწევათა ფონზე მკაფიოდ წარმოჩნდა ბევრი გადასაჭრელი და მოუგვარებელი საკითხი.

აღინიშნა, რომ კომიტეტის ზოგერთი სამმართველოს და ობიექტის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ვერ გამოიტანეს სათანადო დასკვნები, ვერ გარდაქმნეს მუშაობა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. ამის შედეგად, რომ ზოგჯერ იროვნება ტყე-კულტურების გაშენების აგროტექნიკა, არაინტენსიურად ტარდება მცირეპროფილური და ეფფექტიანი ტყეების რეკონსტრუქცია. ნაკლოვანებანია ტყეების აღდგენის საქმეში. ადგილებზე მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ტყის მაენებლებთან, დაადგებებთან ბრძოლის, უნებართვოდ კაფვას, ტყის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებსა და სხვა დარღვევებს. ძირეულ გარდაქმნას მოითხოვს ტყესაჩიდი გზების მშენებლობის ხარისხი, სახელმწიფო ტყის წესების დამრღვევთა და დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლა.

ნაკლოვანებები ამის ბრალიც არის, აღინიშნა კრებაზე, რომ სისტემის რიგ მეურნეობებსა და საწარმოებში დაბალია შრომის ორგანიზაცია, შრომის დისციპლინა, კომუნისტთა პიროადი პასუხისმგებლობა, ისინი არ იჩენენ ინიციატივას, შემოქმედებითად არ უდგებიან თავიანთ მოვალეობას. ლაგოდეხის (ვ. ლობჟანიძე), ბულნიოსის (ვ. ჩაჩიგა), ახალციხის (ვ. ყურმაშვილი), ასპინძის (ი. ხიხალაშვილი). წალენჯიხის (ა. ჯანაშია) და ზოგიერთი სხვა მეურნეობების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ურიგდებიან გეგმების შეუსრულებლობის, უპასუხისმგებლობის, თვალის ახვევის და სხვა უარყოფით ფაქტებს.

— რესპუბლიკის სატყეო მეურნეობებში დაბალია მექანიზაციის გამოყენების დონე, — თქვა კრებაზე კომუნისტმა ზ. დიდიძემ — არა გვაქვს შესაფერისი ტექნიკა, არც ამ დარგის სპეციალისტები იჩენენ დიდ ინტერესს მდგომარეობის გამოსასწორებლად. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს თბილისის სატყეო მრეწველობის ინსტიტუტიც რესპუბლიკის პირობებისათვის გამოსადეგი მანქანების შესაქმნელად.

კრებაზე თქვეს, რომ სატყეო მეურნეობები ნაკლებ ინტერესს იჩენენ დამხმარე მეურნეობებისადმი, ნელა ვითარდება მეფუტკრეობა, მოიორეობა, მებოვრეობა... მაგალითად, ყვარლის სატყეო მეურნეობამ (ყოფილი დირექტორი ბ. მეტრეველი), რომელსაც საკმაოდ კარგი პირობები აქვს მეფუტკრეობის განვითარებისათვის, უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, ხოლო ჩხოროწყუს სატყეო მეურნეობის დირექტორი ღ. ციბერმუა ამტკიცებს, რომ რაიონს არა აქვს მეფუტკრეობის განვითარების პერსპექტივა, და ეს მაშინ, როცა აქაური ბრეკლხორთუმიანი ფუტკარი საქვეყნოდ არის განძმული. ამ შემოსავლიან დარგს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ რესპუბლიკის ნაკრძალები, ასპინძისა და ხაიშის სატყეო მეურნეობები.

კრებაზე მაგალითები მოიყვანეს გამეჩხერებული და დაბალი ღირსების ტყეების აღდგენისა და ახალი ტყეების გაშენების საქმეში არსებული ნაკლოვანებების შესახებ, აღნიშნეს ტყის ჯიშების არასწორი შერჩევის ფაქტები, თქვეს, რომ ორიოვეა გაშენების ვაროწესები, ხშირად ფართობის ერთეულზე მცირდება დასარგავ ნერგთა რაოდენობა. ასეთი მაგალითები გამოვლინდა ონის, ბაკურიანის, ახალციხის და სხვა სატყეო მეურნეობებში. ამასთან ყველგან როდია დაცული ტყე პირუტყვის გადაძოვისაგან, რის გამოც იღუპება გაშენებული ნარგავები, არ სრულდება სტანდარტული სარგავი მასალების წარმოების დაგალებაც. ამ საკითხებზე პრინციპულად, პირუთვნელად ალაპარაკეს ო. გამცემლიძემ, ზ. ბალთუროიამ, ვ. ვარდიაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში, — ამბობს კომუნისტი ა. მაშინა, — ნათქვამია, რომ „პარტიული ორგანიზაციები აქტიურად უნდა ებრძოდნენ სამეგრელო დავალებების კორექტირება-შემცირების მავალ პრაქტიკას, რომელსაც ჯერ ისევ მიმართავენ მთელ რიგ საწარმოთა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები. კომუნისტები დღეიადან უნდა იკონტროლებდნენ არსებული საწარმოო სამძღვრების გამოყენებას, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში შეუწყნარებელია კომპრომისები და შემრიგებლური დამოკიდებულება“. სამწუხაროდ, ჩვენი პარტიული ორგანიზაციაა ამ მხრივ ზოგჯერ სწორედ ასეთ კომპრომისსაც და შემრიგებლურ დამოკიდებულებას იჩენდა. ამის შედეგად ჯიგშების კორექტირება-შემცირების მავნე პრაქტიკას ჰქონდა ადგილი ასპინძის, ლაგოდეხის, გურჯაანის, ლანჩხუთისა და სხვა სატყეო მეურნეობებში.

ცნობილია, რომ წარმატებათა ბეღს ადრეი წყვიტენ. გამოირკვა, რომ აქ სათანადო სიმაღლეზე არ იდგა ადრეული შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საკითხი. ახალგაზრდა სპეციალისტებთან დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ ქალაქიელი სამმართველოები და თითქმის არათერი ყოფილა მათი ინიციატივა-პოლიტიკური აღზრდისათვის. სწორედ დაბალი იდეურ-პოლიტიკური მოშაობის შედეგია, რომ ზოგიერთი სამმართველოს ხელმძღვანელებს შორის შეიმჩნევა არაკოლეგიური დამოკიდებულება, რაც საქმეს ენებს. დაბალი იყო საწარმოო და შრომის დისციპლინა, პირადი პასუხისმგებლობა. ამ ნაკლოვანებებს მიზეზი ისიც იყო, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას.

— ჩვენთან ჯერ კიდევ ვერ დამკვიდრდა გვერდით მომუშავე ამხანაგის საქმიანობისადმი კომუნისტის მორალური პასუხისმგებლობა, პარტიულ დავალებათა შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლი, თქვა კომუნისტმა ვ. შიშპარენკომ.

— სამეურნეო წელს ცუდად როდი გამთავრებთ, — ამბობს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ბალაგანიძე, — მაგრამ ჩვენი მუშაობით კმაყოფილი მაინც არა ვართ. ხარისხის ამაღლება, ახალი რეზერვების ძიება თითოეული კომუნისტისა და მთელი კოლექტივის საზრუნავია. ამასთან უნდა აღინიშნო, რომ აპარატის ზოგიერთი მუშაკი ხალხისთან როდი მიდის ობიექტებზე მიგლინებებით, ურჩევნია თბილისიდან გაუსვლელად განაზორკიელოს ხელმძღვანელობა, რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს დაბალ პირად პასუხისმგებლობაზე. ვერც საშემსრულებლო კოლეტივის დაჯიკვნენთ. მაგრამ ყველაზე დამაფრთხილებელი ის არის, რომ ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტი დროს ჩამორჩა, არ იცნობს სიახლეებს. საჭიროა მეტი სწავლა, კითხვა, გამოცდილების გაზიარება.

კომუნისტმა ჯ. ჩარკიანმა კრებაზე, თქვა, რომ ზოგიერთი რამის მოგვარება მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ იამზადებთ ასობით ტონა ვიტამინიზებულ ფქვილს პორტიკის კომბინირებული საკვებისათვის, მაგრამ იგი დროულად არ გაეგზავნა მომხმარებელს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. მაგრამ ეგი ამ საკითხებ, რომ მეტყევეების საქმიანობასა და ტყის პრობლემებზე პრესაში უფრო ეფექტიური სტატიები იბეჭდებოდეს.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის ბაზით მეათე ხუთწლედში 136.500-ჰექტარზე უნდა ჩატარდეს ტყის აღდგენითი სამუშაოები, მოვლითი და სანიტარული ჭრებით უნდა დამზადდეს 2.150.000 კუბური მეტრი მერქანი. აქვთ სხვა სერიოზული დავალებანიც. „ახლა მეათე ხუთწლედის მეორე წლის ფინიშის სწორზე, — ნათქვამია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში, — უფრო სწრაფად უნდა წამოიწიოთ სუსტი უბნები, კონკრეტული დამპრაგება გაეწიოთ იქ, სადაც ეს საჭიროა, მკაცრად მოვკითხოთ უყაირათობისათვის, მოდუნებისათვის, დაჭრაზმით ისინი, ვინც ვალდებულება შეასრულა და მუშობას უკლო“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენების ეს მოთხოვნა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება კომიტეტის კომუნისტებს დიდ და სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს. მათ კარგად ესმით ეს, სწამთ თავისი ძალების და იმედია, პარტიული ბიურო წარმატებით შეასრულებს კოლექტიური ხელმძღვანელის როლს, დაარაზმავს და აღანთებს კომუნისტებს, თითოეულ კომუნისტს, თითოეულ მუშაკს ახალი წარმატების მოსაპოვებლად და გადაჭრის მეათე ხუთწლედში მათს წინაშე მდგომ ამოცანებს.

ე. მამალაძე.

საბჭოთა ტელეტაიპი გადმოგვცემს

მსოფლიოს ამბები ერთვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელს ეძღვნება

პორნიკი, (საფრანგეთი). (საკდესი). „ვ. ი. ლენინი — საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი — ამ სახლში ცხოვრობდა 1910 წლის 9 (22) ივლისს — 10 (23) აგვისტოს“ — წერია მემორიალურ დაფაზე, რომელიც გაკრულ ხაფრანგეთის ატლანტიკისპირა ქალაქ პორნიკის ერთ-ერთ სახლზე.

ლენინს მონდეზირის ქუჩის ერთ 2-სართულიან სახლში ჰქონდა ბინა. „პორნიკისა და ახლო-მახლო ქალაქების მცხოვრებლებმა იცოდნენ, რომ აქ დიდი ლენინი ცხოვრობდა, — თქვა სახლის პატრონმა გასტონ პლეზანმა. — ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ და ახლაც მოდიან ადამიანები, ვინაიდან ამ სახლში ლენინი ბინდები ფლეთნა“.

ლენინის მემორიალის საზეიმო გახსნაზე შეიკრიბნენ პორნიკისა და ატლანტის ლუარის დეპარტამენტის, მისი ადმინისტრაციული ცენტრის — ქალაქ ნანტის ხელისუფალთა წარმომადგენლები. საფრანგეთ-სსრ კავშირის ლუარის დეპარტამენტის განყოფილების აქტივისტები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

„ფრანგები უდიდეს პატივს სცემენ ლენინს, დიადი საბჭოთა კავშირის დამაარსებელს, — თქვა პორნიკის მერმა უ. ფირარმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში — ლენინის მემორიალს გახსნა დიდი მოვლენაა ჩვენი ქალაქის ისტორიაში. იგი ხელს შეუწყობს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ტრადიციული მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

მაღალი ჯილდო

პრაღა. 23 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წარდგენით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი დააჯილდოვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი ორდენით — კლიმენტ გოტვალდის ორდენით.

ეს მაღალი ჯილდო მ. ა. სუსლოვს მიეცა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისა და ძმური თანამშრომლობის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, იმ შემოქმედებითი წვლილისათვის, რომელიც მას შეაქვს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის განვითარებაში, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის გაძლიერებაში, აგრეთვე დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით.

სსრ კავშირი — აშშ

ვაჭრობის განვითარებისათვის

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს და განამტკიცებს ჩვენი ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთგაგებასა და ნდობას, განაცხადა ვაჭრობის მინისტრის თანაშემწემ ოლდგელემ ა. რაიტმა.

ქალაქ პიტსბურგის დოუკის უნივერსიტეტში აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ვაჭრობის პრობლემებისადმი მიძღვნილ სემინარზე გამოსვლისას ა. რაიტმა მხარი დაუჭირა ყველა დამოკიდებულების აღმოფხვრას ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში.

სსრ კავშირთან ვაჭრობა, აღნიშნა მან, ხელს უწყობს ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო-გაზეთები გვეზმარება გავიგოთ ჩვენთვის საინტერესო ამბები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ დიდი დაგვიანებით, 3-4 დღის შემდეგ ვღებულობთ. რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს ეურნალ-გაზეთების ექსპედიციის სპეციალურ ავტომობილს შინაარსი დაბეჭდითებთან ადასტურებს, რომ ისრაელის მთავრობა ოკუპირებულ არაბულ მიწებზე ახორციელებს ანექსიისა და სამხედრო დასახლებების შექმნის პოლიტიკას.

ქართველ მსახიობთა წარმატება

ვაშინგტონი, 23 ნოემბერი. (საკდესის კორ.). დღეს ამერიკის დედაქალაქში გაიმართა ორი გამორჩეული ქართველი კოლექტივის — ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისა და თბილისის გუნდის პირველი კონცერტი. ეს კოლექტივები საგასტროლოდ არიან შეერთებულ შტატებში.

ჯ. კენედის სახელობის ხელოვნების ცენტრის დიდი სოპერო დარბაზი გაივსო მაყურებლებით, რომლებიც აღფრთოვანებული ხვდებოდნენ ქართულ სიმღერებსა და ქართულ ცეკვებს. ყოველ ნომერს მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ. კონცერტის ბოლოს, რომელიც უდიდესი წარმატებით მიმდინარეობდა, ქართველ მხახიობებს ნამდვილი ოვაცია მოუწყვეს.

მოკლედ

ყოველი ესრიდან

მორიგი აგრესიული აქტი

● ბეირუთი. ისრაელის არტილერიამ და ლიბანიის კონსერვატიულმა ძალებმა ლიბან-ისრაელის საზღვრის რაიონში კვლავ დაუშინეს ცეცხლი ლიბანის ეროვნულ-პატრიოტულ ძალებსა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის პოზიციებს.

აქ მიღებული ცნობებით, ბომბი დაუშინეს ხიამისა და რაშაია ალ-ფუხარის დასახლებულ პუნქტებს. ცეცხლის დაშენის დროს ისრაელის სამხედრო თვითმფრინავები დფრინავდნენ ამ რაიონში.

სავალალო პერსპექტივა

● ტოკიო. იაპონიის ხაშუალო სკოლების ასოციაციებით კურსდამთავრებული, რომლებიც მომავალი წლის მარტში დაამთავრებენ სწავლას, უმუშევრობის პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან. იაპონიის შრომას სამინისტროს მონაცემებით, სამ მილიონზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი დაამთავრებს სკოლას და აქედან მხოლოდ 874 ათასი იშოვის სამუშაო ადგილს.

ფაქტები ამხილებენ

● ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთავრდება ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიათა მოსახლეობის მამართ ისრაელის ადამიანის უფლებათა შემლახავი მოქმედების საგამოძიებო სპეციალური კომიტეტის მოხსენების განხილვა. ამ ყოვლისმომცველი დოკუმენტის შინაარსი დაბეჭითებთან ადასტურებს, რომ ისრაელის მთავრობა ოკუპირებულ არაბულ მიწებზე ახორციელებს ანექსიისა და სამხედრო დასახლებების შექმნის პოლიტიკას.

დაილუპა 6 ათასზე მეტი კაცი

● დელი. ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროზე გადაიარა ციკლონის მეორე ტალღამ, რომელმაც დიდი ნგრევა გამოიწვია ანდჰრა-პრადეშის შტატში. ციკლონის დროს დაილუპა 6 ათასზე მეტი კაცი, ნათქვამია სამაჩარის საგენერალოს ხაიდარაბადიდან მიღებულ ცნობაში. ეს ხაშინელი ტრაგედიაა ქვეყნის ცხოვრებაში, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მორარჯი დესაიმ.

ინდოეთის მთავრობამ შტატის ადმინისტრაციას დანგრეული მეურნეობის აღდგენისა და დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად 50 მილიონი რუპია გამოუყო.

სსრ კავშირის დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების გუბერნატორთა ეროვნული ასოციაციის მოწვევით აქ მყოფი რესპუბლიკებისა და ოლქების საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ხ. სალომენცევი, ეწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინას, სადაც იგი მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა. მიესალმა რა დელეგაციას, კ. ვალდჰაიმმა მაღალი შეფასება მისცა წვლილს, რომელიც საბჭოთა კავშირს შეაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში.

კ. ვალდჰაიმმა დელეგაციის წევრებს სთხოვა გულითადი სალამი გადასცენ და ყოველივე საუკეთესო უსურვონ მთელ საბჭოთა ხალხს და პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომელთან შეხვედრებზეც, თქვა კ. ვალდჰაიმმა, მოსკოვიდან უადრესად გულთბილი მოგონებები გამომყვა.

მ. ს. სალომენცევმა მადლობა მოახსენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს იმისათვის, რომ ესოდენ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის წვლილს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობაში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა პოზიტიურად გადაწყდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კეთილშობილური ამოცანები — განმტკიცდეს მშვიდობა, დამკვიდრდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოთა ნორმალური ურთიერთობა მათი სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მიუხედავად.

ეკონომიკურ ამერიკელმა მრეწველმა დ. კენდალმა საბჭოთა დელეგაციას გაუმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ეკონომიკური საბჭოს წევრები, ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო და საფინანსო წრეების ხელმძღვანელები. დარბაზობაზე გამოსვლილმა დ. კენდალმა თქვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი კონტაქტების განვითარებას, და განაცხადა, რომ ეს შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და ამერიკელი ხალხის თანამშრომლობის ინტერესებს. ამსახურება მშვიდობის განმტკიცების საქმისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. მან საგანგებოდ აღნიშნა იმ მეცადინეობის მნიშვნელობა, რომელსაც საბჭოთა ხელმძღვანელობა და პირადად ლ. ი. ბრეჟნევი ახმარენ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის შემდგომი განჯანსაღების საქმეს. დ. კენდალმა თქვა, რომ ამერიკელთა უდიდესი უმრავლესობა შტატებიდან უშერეს მხარს ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ყოველმხრივ გათბერთოებას, თომრა. დასძინა, მან. ეს მაინც და მაინც არ ეპიტნავება მყვირალა, მაგრამ ყოველად უმნიშვნელო უმცირესობას ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებში.

ანგოლა პარტიის მომავალი ფორუმი

ლუანდა, 22 ნოემბერი. (საკდესი). ლუანდაში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 4 დეკემბერს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში გაიხსნება ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის 1-ლი ყრილობა.

ყრილობა განიხილავს საკითხს ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის მუშათა კლასის ავანგარდულ პარტიად გადაქცევის შესახებ. რომელიც თავის საქმიანობაში მარქსისტულ-ლენინური თეორიით იხელმძღვანელებს. მიიღებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, აირჩევენ მის ხელმძღვანელ ორგანოებს, აგრეთვე განსაზღვრავენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სტატუსებს. პარტიის ფორუმი განიხილავს აგრეთვე ანგოლის სახალხო რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს და დამტკიცებს პარტიის ეროვნულ ხაზს.

ყრილობის მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე გამოსვლისას ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნეტომ ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის ყველა წევრს, მთელ ანგოლელ ხალხს მოუწოდა ღირსეულად შეხვდნენ პარტიის მომავალ ფორუმს.

ჯრეჩკა ადასტურებს

პეკინი მფარველობს პინოჩეტის რეჟიმს

ბუდაპეშტი. 23 ნოემბერი. (საკდესი). მსოფლიო პრესას მრავალგზის დაუმტკიცებია და ალბათ ამჯერადაც უკანასკნელად არ ადასტურებს, რომ პეკინის ხელმძღვანელობას ჩილეში პინოჩეტის ფაშისტურ რეჟიმთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს, წერს გაზეთი „ნეპსაკა“. ამის ყველაზე ბოლო დადასტურება იყო სანტიაგოდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის გამგზავრება, რომელიც სამშობლოში დაბრუნების წინ მიიღო ფაშისტური ხუნტის ეროვნული საფინანსო წრეების ხელმძღვანელები. დარბაზობაზე გამოსვლისას დ. კენდალმა საბჭოთა დელეგაციას გაუმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ეკონომიკური საბჭოს წევრები, ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო და საფინანსო წრეების ხელმძღვანელები. დარბაზობაზე გამოსვლილმა ამერიკელმა მრეწველმა, — ნეპსაკა“ — ამბობს ამერიკელ ჟურნალისტ-ექსპერტ ჯ. ბეიტერ ჰენდსონ, ამერიკის ეროვნული ბანკის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ ალ

მადლობა ქართველ მოსწავლეებს

ნორჩ მოცეკვავეთა წარმატება იტალიაში

საკმაო ხანია, რაც თბილისის მესამე იქსპერიმენტალი საშუალო სკოლის მოსწავლეთა ქორეოგრაფიული ანსამბლი თავისი ხელოვნებით ხიბლავს მაყურებლებს. დაარსების დღიდან ანსამბლს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი **თამაზ გოგოტიშვილი,** ხოლო კონსულტანტია სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატი **ნინო რამიშვილი.**

არსებობის 17 წლის მანძილზე ანსამბლში აღიზარდა მოცეკვავეთა სამი თაობა. აქ აღზრდილთაგან ბევრი დღეს სხვადასხვა სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრია.

ნორჩების ხელოვნებას საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში იცნობენ. პატარები ხშირი სტუმრები არიან ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის — მოსკოვისა, სადაც ისინი ყოველთვის გულწრფელ აღტაცებას იმკიან. ცენტრალურმა ტელევიზიამ რამდენიმე ხნის წინათ სპეციალური კინო-საკონცერტო ოთხწაწილიანი ფერადი ფილმი გადაიღო და („ცეკვავენ მამაკაცები“) შესთავაზა მაყურებელს.

ანსამბლმა უამრავი მაყურებლისმცემლები შეიძინა არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიც. ნორჩების ხელოვნებას ეზიარნენ ბულგარელი, რუმინელი, პოლონელი, უნგრელი, გერმანელი, ავსტრიელი მაყურებლები.

ახლახან ანსამბლი დაბრუნდა

SPETTACOLO
CANTI e DANZE della GEORGIA

იტალიიდან, სადაც მან რვა დღე დაჰყვეს.

იტალიაში მოგზაურობის შესახებ გვესაუბრება ანსამბლის ხელმძღვანელი თ. გოგოტიშვილი.

— მოსწავლეთა ანსამბლი, — გვიამბობს თ. გოგოტიშვილი — ერთადერთი მხატვრული კოლექტივი იყო იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომლის წევრებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან იყვნენ. მოგზაურობა იტალიის ქალაქებში ეძღვნებოდა ოქტომბრის დიად იუბილეს. წარმოგვიდგინა საბჭოთა ხელოვნება, ანსამბლის მისიას ფრიად საპატიოს ხდიდა.

იტალიის დედაქალაქ რომში გულთბილად შეგვხვდნენ იტალიელ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლები. დაგვათვალიერებინეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ეწვივეთ ვატიკანს, მოვინახულეთ ქალაქი ტიეოლი.

უზომო სიხარული განაცდევინა ჩვენს მოსწავლეებს ძველ მეგობრებთან შეხვედრამ. ანსამბლის წევრები რომში ეწვივნენ იმ სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც წელს ზაფხულში არტეკში გამართულ პირველ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობდნენ. ჩვენი ანსამბლი ხომ ამ ფესტივალის ლაურეატი გახდა.

საპასუხისმგებლო კონცერტი ჰქონდა ანსამბლს რომის კინო-საკონცერტო დარბაზ „უნივერსალში“. კონცერტს ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციების წარმომადგენლები, იტალიის პროფკავშირული მთავრობის აქტივისტები. კონცერტმა წარმატებით ჩაიარა. იტალიელმა ბავშვებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები უძღვნეს ჩვენს მოცეკვავეებს.

რომის შემდეგ ნეაპოლს ეწვივეთ. დავათვალიერეთ ქალაქი, ვინახულეთ ქალაქი-მუზეუმი პომპეი და გვირგვინებით შევამკეთ დიდი ლენინის ობელისკი კუნძულ კაპრზე.

ნეაპოლში სპორტის სასახლის დარბაზში ხუთი ათასი მაყურებელი გვესწრებოდა. კონცერტის წარმატების დასტური იყო მაყურებელთა დაუფიქრებელი მოთხოვნა გაგვემეორებინა ცალკეული ნომრები. კონცერტის შემდეგ ქალაქის მერმა ანტონიო კარპინომ აღნიშნა, რომ სისხლსავსე ქართულმა ხელოვნებამ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მადლობის ნიშნად მან ანსამბლს აჩუქა ლარნაკი სამახსოვრო წარწერით.

რ. მუხიგულაშვილი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ანსამბლის ხაჩუქარი — ლარნაკი სამახსოვრო წარწერით; ქვემოთ — ანსამბლის კონცერტების აფიშა იტალიურ ენაზე; ცეკვა „ყაზბეგური“ ასრულებენ ზაზა კუტალაძე, ვაჟა გიგაური და იური ქობულია.

ვლ. მინწაშვილისა („კომუნისტი“) და ბ. ძმპვპაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სურათზე: ბურთი „გრასჰოპერსის“ კარში.

ბ. ფალავანდიშვილის ფოტო.

უეფას თასზე

მინიმალური ანგარიშით

თბილისის „დინამო“-ციურიხის „გრასჰოპერსი“ — 1:0 (1:0).

23 ნოემბერი, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. მსაჯები როლფ ნიჰუსი, როლფ პაუგენი, ფრანკ სკადალი (ყველანი — ნორვეგია), 75 ათასი მაყურებელი. ტემპერატურა 10 გრადუსი.

„**დინამო**“ — **გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ხინინაგაშვილი, მუჯირი, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (ჩივაძე), გუცაევი, შენგელია, ჩელებაძე (ზურითელი).**

„**გრასჰოპერსი**“: **ბერბიგი, ბეკერი, ნილი, მონტანდონი, ჰეი, ბაუერი, მაიერი, ვერლი, სულერი, პონტე, ელზენერი.**

ევროპული ტურნირების მატჩებს ერთი თავისებურება აქვს — თითქოს „დაკანონებულია“, რომ მეტოქის მოედანზე ფრეს მიაღწიო ან რაც შეიძლება პატარა ანგარიშით წაგო, რათა საპასუხო შეხვედრაში მეტი ბურთი გატანილი და გათამაშების შემდეგ ეტაპზე ადგილზე. სწორედ ამ ფასეულობის მოდელს მიმართა გუშინდელ მატჩში ციურიხის „გრასჰოპერსმა“. შეიძლება ითქვას, სტუმრებმა ამ ვარიანტის მაქსიმუმი შეასრულეს.

შვეიცარიელებმა თავიდან ვე მშვიდრო პრესინგს მიმართეს, ეს კი ისეთი ტექნიკური გუნდისათვის, როგორიც თბილისის „დინამოა“ ხელსაყრელი გამოდგა, რადგან ქართველმა თეზებორთელებმა იცოდნენ თანტრის ფასი.

სწორედ ამიტომ მთელი მშვენებით გამოჩნდა ვ. გუცაევის, მ. მაჩაიძის, რ. შენგელიას ოსტატობა. თბილისელებმა ამას გარდა თავიანთი ორსენტლიდან კიდევ ერთი ბარიერი გამოიყენეს, ეს იყო მაღალი ტემპი და თამაშის დაწყებიდანვე 35 წუთის განმავლობაში შვეიცარიელთა კარს განუწყვეტლივ „ბომბავდნენ“ ზემოთჩამოთვლილი ფეხბურთელთა ჯარდა თ. კოსტავა, გ. მაჩაიძე, რ. ჩელებაძე, ვ. ქორიძე. ბურთი, რომელიც პირველი ტაიმის მეოცე წუთზე გავიდა სტუმრების კარში, ვ. გუცაევმა მარჯვენა ფრთიდან ბრწყინვალე ჯარიგების შემდეგ მიიწოდა საჯარიმოში რ. შენგელიას, რომელმაც ტექნიკურად ალარა გვერდი მცველს და ეგი „გრასჰოპერსის“ კარის ბადეში გაუვლია.

დინამოელთა შეტევა კვლავ გრძელდებოდა, სტუმრები ტაიმის უკანასკნელ წუთებზე მიხვდნენ, რომ ტემპში აყოლა მათ ხელს არ აძლევდათ და მის დაცემას შეეცადნენ.

შესვენების შემდეგ თბილისელნი ნახევარდაცვამ შოა მოედანი დათმო და დინამოელებმა ბურთზე კონტროლიც დაიჭიროს. მოედანზე თავგამოდებით მხოლოდ ორი ნახევარმცველი — ძმები მაჩაიძეები იბრძოდნენ, მათ მხარეზე აუბი ჩივაძემ, რომელმაც ქორიძე შეცვალა. სტუმრებმა შედარებით ამოისუნთქეს და თამაში

ჭიდრაკი

სტარტს იღებს უმაღლესი ლიგა

თბილისელი მოკადრაკე, რომელთა შორის 13 საერთაშორისო დიდოსტატია (აქედან 3 მსოფლიოს ექსჩემპიონი — ტ. პეტროსიანი, ვ. სმისლოვი და მ. ტალი), მიიღებს მონაწილეობას სსრ კავშირის 45-ე ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა), რომელიც 28 ნოემბერს იხსნება.

ქვეყნის უძლიერესის მედლისათვის შეჯიბრებათა ეს ახალი სამსაფეხურიანი სისტემა (საკავშირო შესარჩევი ტურნირი, პირველი და უმაღლესი ლიგები) ხუთი წლის წინათ არის მიღებული და, სპეციალისტთა აზრით, გამართლდა როგორც სპორტული, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით.

შეგახსენებთ უმაღლეს ლიგაში გამარჯვებულებს: ბ. სპასკი (1973 წ.), მ. ტალი და ა. ბელიავსკი (1974 წ.), ტ. პეტროსიანი (1975 წ.) და მსოფლიოს ჩემპიონი ა. კარპოვი (1976 წ.). თუ დავსახელებთ სსრ კავშირის ყველა ჩემპიონს (1924 წლით დაწყებული), ჯერჯერობით რეკორდსმენად რჩება მ. ბოტვინიკი — ოქროს მედალი მას შვიდჯერ გადაეცა. მეორე ადგილზეა მ. ტალი — ხუთჯერ. შემდეგ მოდიან ტ. პეტროსიანი — ოთხჯერ, ბ. კერესი და ლ. ფტეინი — სამ-სამჯერ...

ლენინგრადის ფ. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სასახლის დიდი დარბაზი, რომელიც ბოლო წლებში საერთაშორისო და საკავშირო საჭადრაკო შეჯიბრებათა ტრადიციულ ასპარეზად გადაიქცა, ამჯერადაც სტუმართმოყვარულად გაუღებს კარს უმაღლესი ლიგის ტურნირის მონაწილეებს.

რეგლამენტის თანახმად, ტურნირის ცხრა გამარჯვებული უფლებას ძოიპოვებს გაისადაც მიიღოს მონაწილეობა უმაღლეს ლიგაში, ისინი ავრეთვე მიწვეული იქნებიან მსოფლიოს პირველობაზე შეჯიბრებათა ახალ ციკლში საბრძოლველად, რომელიც საბჭოთა მოჭადრაკეებისათვის საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ზონალური ტურნირით დაიწყება. (ხაკდესის კორ.).

ფინალში გავიდნენ

ბაღდათის სასახლეში დამთავრდა თბილისის პირველობის ნახევარფინალური შეჯიბრება ვაჟთა შორის, რომელშიც ქალებიც მონაწილეობდნენ. 138 მოკადრაკეს შორის იყვნენ: 1 სპორტის ოსტატი, 49 ოსტატობის კანდიდატი და 88 პირველთანრიგოსანი.

შეჯიბრება გაიმართა შვეიცარული სისტემით 11 ტურად. პირველ რვა ადგილზე გასული მოკადრაკეები გავიდნენ ფინალში. პირველი ადგილისათვის ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობდა ოსტატ თამარ ხუციშვილსა და ოსტატობის კანდიდატ ზურაბ აზმაიფარაშვილს შორის. ჭაბუკმა მოკადრაკემ შეძლო ოსტატის დამარცხება და 9,5 ქულით I ადგილის დაკავება. თ. ხუციშვილი 8,5 ქულით მეორე იყო. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ოსტატობის კანდიდატები ნ. ჩახოიანი, ე. მიქაელიანი, გ. ხაილენკო, დ. ჯაფარიძე, ზ. ლიფონავა, ა. წერეთელი. ამ მოჭადრაკეებმა რვა-რვა ქულა დააგროვეს და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ე. მელიქსეთბეგი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალის „მზიური“ — ჩემპიონი

ჯერ არ დამთავრებულა საქართველოს პირველობა ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებისათვის, მაგრამ გალის „მზიურმა“ ორი ტურით ადრე 42 თამაშიდან 60 ქულა დააგროვა და 1977 წლის საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილზე 55 ქულით იმყოფება ჭიათურის „მაღაროელი“, ხოლო მესამეზე ტყიბულის „მეშახტე“ (52 ქულა).

გალელმა ფეხბურთელებმა ჩემპიონატის დაწყებიდანვე ხელთ იგდეს ლიდერობა და ბოლომდე შეინარჩუნეს. გუნდის ამ წარმატებაში დიდი წვლილი მოუძღვის მის მწვრთნელს ა. გრძელიძეს, რომელმაც ადგილობრივი ახალგაზრდებისაგან კარგი მეგობრული კოლექტივი შექმნა.

ჩვენი რესპუბლიკის წლეულდელი ჩემპიონი გალის „მზიური“ და მეორე ლიგის საქართველოს გუნდებს შორის ერთ-ერთი აუტსაიდერი სოხუმის „დინამო“ ორ მატჩს გამართავენ ერთმანეთთან იმის გასარკვევად, თუ გაისად ამ ორ გუნდს შორის რომელი ითამაშებს მეორე ლიგის ფეხბურთელთა სსრ კავშირის ჩემპიონატში.

ძალოსანობა

16 წლის გოლიათი

ბულაში გაიმართა ჭაბუკ შტანგისტთა ტურნირი. მძიმე წონასან შტანგისტთა შორის ყველას აჯობა დონეცკელმა მეათე კლასის მოსწავლემ ვიტორ მოსიბატმა, რომელმაც აკვიაში 185 კილოგრამი აჩვენა, ხოლო ატაკაში 152,5 კილოგრამი და ტურნირის ჩემპიონი გახდა. 16 წლის ვ. მოსიბატი 140 კილოგრამს იწონის, ორი წელიწადია ვარჯიშობს და ამ ტურნირის დაწყებამდე შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ფრენბურთი

წინ ფინალური ტურნირია

ბოკიო. „დიდი ოლიმპიური ოთხეულის“ — პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, კუბისა და იაპონიის ფრენბურთელები ნახევარფინალური ტურნირების უკანასკნელი დღის შედეგების მიუხედავად პოსაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალურ შეჯიბრებაში. ეს ცნობილი გახდა 23 ნოემბრის მატჩების შემდეგ, რომლებიც ასე დამთავრდა: სსრ კავშირი-პოლგარეთი — 3:1, პოლონეთი-ბრაზილია — 3:1, კუბა-ჩინეთი — 3:1, იაპონია-სამხრეთ კორეა — 3:1. დღეს ჩვენი გუნდი ხვდება პოლონეთის ნაკრებს. ამ თამაშის შედეგი ფინალური ტურნირის ჩაკვლაში არ შედის.

ფინალური ტურნირი პირველობისთვის ადგილობრივი დროით 27-29 ნოემბერს.

ძალოსნობა

16 წლის გოლიათი

ბულაში გაიმართა ჭაბუკ შტანგისტთა ტურნირი. მძიმე წონასან შტანგისტთა შორის ყველას აჯობა დონეცკელმა მეათე კლასის მოსწავლემ ვიტორ მოსიბატმა, რომელმაც აკვიაში 185 კილოგრამი აჩვენა, ხოლო ატაკაში 152,5 კილოგრამი და ტურნირის ჩემპიონი გახდა. 16 წლის ვ. მოსიბატი 140 კილოგრამს იწონის, ორი წელიწადია ვარჯიშობს და ამ ტურნირის დაწყებამდე შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ქაქრობატიკა

მოქნილობა, ძალა, გაბედულება

სსრ კავშირის პირველობა თბილისში

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი სპორტულ აკრობატიკაში. მონუმენტური პირამიდები, წყვილთა ვარჯიშები, ელვისებური ხტომები, ეფექტური ძალისმიერი კომბინაციები, ორიგინალური მუსიკალური კომპოზიციები, სინატიფე და ძალა, მოქნილობა და მოძრაობის სიზუსტე — ეი აკრობატიკის — სპორტის ამ უღრეესად საინტერესო სახეობის შინაარსი.

1939, 1940, 1948, 1949, 1950 და 1951 წლებში საქართველოს აკრობატთა ოთხეულები სსრ კავშირის ჩემპიონები იყვნენ. ეი, ისინი: მ. ჭელეხსაშვილი, ი. ჩეხლოკი, ვ. გარსევანიშვილი, ფ. ეფელანოვი, ვ. კოჩერგინი, კ. ვართანოვი, გ. ჟურავლიოვი და თ. მაყაშვილი. 1972 წელს საკავშირო ჩემპიონატში სხვადასხვა თანრიგში თაკი ისახელეს თ. ლომთაძემ, ა. სლიკკოვმა, ა. თედეევმა, ს. დელინბატოვმა, ი. ბახმაშვილმა. ამჟამად საქართველოს აკრობატთა ტრადიციების გამგრძელებლები არიან ეაკთა ოთხეულის წარმომადგენლები: გ. სუთიძე, ვ. თურქაძე, ა. ბრუთიანიანი, გ. კაკაშვილი; გოგონათა სამეული — მ. მუმლაძე, ლ. ხანგოშვილი, ს. მკრტჩიანი; ძალისმიერი წყვილი — დ. ხანგოშვილი, ზ. ნიკოლაიშვილი, გოგონათა წყვილები — ე. იუსუპოვა და ლ. ლისტოფოროვა, აგრეთვე მ. თეკთუმაძე და მ. შარიონა; მოხტუნვენი ე. ეჯანია, მ. ტყებუჩავა, ნ. ხიდაშელი, გ. კოკოსკერია, გ. ბერიძე და სხვები.

მფრინავი-კოსმონავტი, ორგზის სსრ კავშირის გმირი ვ. ვოლკოვი აკრობატიკას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეი მისი სიტყვები: „არ ვიცი, შეეძლებ თუ არა პასუხი გავცე ჯერ სულ პატარა ბიჭუნებს, რომლებიც მეკითხებიან, როგორ უნდა გახდე კოსმონავტი და რით უნდა დაიწყო. მე მათ ეურჩევდი დაიწყოთ აკრობატიკიდან, რომელიც აგითარებს ძალას, მოქნილობასა და გაბედულებას“.

აკრობატიკა ერთობ საინტერესო და სასარგებლოა. ამ ლამაზი ხელოვნების თაყვანისმცემლებისთვის ულოოდ საინტერესო იქნება საბჭოთა კავშირის უძლიერეს აკრობატთა ასპარეზობის ხილვა.

ბ. ირინაული.

„სპორტლოტო“

გაცნობებთ „სპორტლოტობა“ და „სპორტლოტო-2“-ის 23 ნოემბერს გამართული 47-ე ტირაჟის შედეგებს:

„**სპორტლოტო**“ — 32 (წყალტოლა), 1 (ავიასპორტი), 18 (ქალაქობანა), 25 (თხილამურა—ტრამპლინი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 5 (ბადმინტონი), შეიფავათანი ბურთი — 24 (თხილამურები).

„**სპორტლოტო-2**“ — 15 (წყალბურთი), 30 (საიალქნო სპორტი), 3 (აკრობატიკა), 35 (სპიდვეი), 10 (ბუერი), 23 (ძძლეოსნობა), შეიფავათანი ბურთი 43 (ფარიკაობა). (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲘᲪᲐᲕᲡ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო შრომების კომიტეტის ამერკაკასთან წითელდრამოვანი სახლეგრო ოლქი საქართველოს ავტონომიურ, საბჭოთა, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად აწყობს რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსს ხელმწიფო სახლვრის დამცველი საუკეთესო სახალხო რაზმის ამოსავლენად.

კონკურსში ხელი უნდა შეუწყოს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შემდგომ ორგანიზაციულ განმტკიცებას.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის დათვალიერება-კონკურსის ნიშნეველოვანესი ამოცანაა უზრუნველყოს მათი აქტიური მონაწილეობა სამართალდარღვევებისა და დანაშაულობის წინააღმდეგ ძალაში, კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების, სასახლვრო და საპასპორტო რეჟიმის დაცვის სულისკვეთით მოქალაქეთა აღსაზრდელად მიმდინარე მუშაობაში. დათვალიერების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა

მეწარმეობითი სახალხო რაზმების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას, მათი ქმედითობის ამაღლებას.

რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში შეიქმნა დამთვალიერებელი კომისიები, მათ შემადგენლობაში აღიარ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სასახლვრო ჯარების, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები. დათვალიერების პერიოდში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების რიგებს შეემატება პარტიულ-კომკავშირული აქტივის, სამოქალაქო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეების, სტუდენტებისა და უფროსკლასელი მოსწავლეების საუკეთესო წარმომადგენლები.

დათვალიერება-კონკურსის გამარჯვებულ გადაეცემა ამერკაკასის წითელდროშოვანი სასახლვრო ოლქის გარდამავალი წითელი დროშა.

(საქინფორმი).

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲘ

ᲙᲕᲘᲠᲘᲗᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ!

გრძელდება ხელმოწერა 1978 წლისათვის ჟურნალ „პარტიულ სიტყვაზე“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი „პარტიული სიტყვა“ გადის თვეში ორჯერ ქართულ ენაზე.

ჟურნალის მუდმივი ყურადღების ცენტრშია პარტიის საინფორმაციო და საგაგანდ პოლიტიკა, კპკ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიების გეგმიწყვეტილებათა, ოფიციალ კონსტიტუციის პროექტი, მეათე ხუთწლედის დაგეგმვათა განხილვებისათვის ბრძოლა. სისტემატურად ქვეყნდება მასალები რეკომენდაციის პარტიული ორგანიზაციების, პოლიტფორმატორების, აგიტატორებს, პროპაგანდისტების, ლექტორების, მომხსენებლების, მომენებელთა და პოლიტინფორმატორთა ჯგუფების, აგიტკოლექტივების მუშაობის გამოცდილებაზე. ჩვენი განუყოფელი ნაწილია კონსულტაციები, რჩევ-დარიგებები, მეთოდიკური სამუშაოებები, რომლებიც ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს, იდეოლოგიურ მუშაკებს ფეიერ-პოლიტიკური მუშაობის ეფექტ მოწყობაში.

ჟურნალი აქვეყნებს მასალებს პარტიული და კომკავშირული ოლიტგანათლების, ეკონომიკური სწავლების საკითხებზე, კომუნისტური შრომის სკოლების, სახალხო უნივერსიტეტების, დამრიგებელთა სამმართველოს.

ქვეყნდება ისტორიული, პოლიტიკური თარიღებისადმი, სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების, საერთაშორისო მდგომარეობისადმი მიძღვნილი მასალები, სხვადასხვა ცხოვრება, ციფრები და ფაქტები, თვალსაჩინო ავიტაციის ნიმუშები, ლექციების, მოხსენებების, საუბრების სახიმუშო თემატიკა.

ჟურნალის ფურცლებზე შეხვდებით მასალებს ეკონომიკისა და ტექნიკის, მორალის, ათეიზმის, სამართალმცოდნეობის, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, მედიცინის საკითხებზე. ქვეყნდება იურიდიული კონსულტაციები, პასუხები შეკითხვებზე, კრიტიკული წერილები, რეპლიკები, ნარკვევები, ჩანახატები, სატირა და იუმორი.

გაცნობებთ, რომ ყოველ კვარტალში ერთხელ „პარტიული სიტყვის“ ბიბლიოთეკის სერიით გამოდის ბროშურები, რომლებშიც შუქდება მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები. 1978 წლისათვის ამ ბროშურებზეც შეიძლება გაფორმოთ ხელმოწერა.

ჟურნალის მიღებაში შეფერხებების თავიდან ასაშორებლად უმჯობესია იგი გამოიწეროთ მთელი წლით.

ახალი წიგნები

ლექსიკოგრაფიას ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ...

„საბჭოთა საქართველოს“ გამოსცა „ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონი“

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ლექსიკოგრაფიას დიდი ხნის ისტორია და მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მან უაღრესად ფართო მასშტაბი მიიღო. ზოგად ფუძემდებლურ ენციკლოპედიურ ლექსიკონებთან ერთად ქართული საბჭოთა ლექსიკოგრაფია გამდიდრდა. სპეციალური დარგობრივი და ვიწრომეცნიერული, მათ შორის სამედიცინო ხასიათის ლექსიკონებით, ცნობარებითა და ტერმინოლოგიური ხიტყვარებით. ზოგიერთ მათგანში მოკლედ არის დასახასიათებული ის პრობლემები, რომლებიც აქტუალურია ამა თუ იმ დარგისათვის. ცხადია ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის დიასპორნის გაფართოებასა და სპეციალური ინფორმაციის უფრო ღრმად ათვისებას. ლექსიკონთა ამ ტიპს მიეკუთვნება ბ. სვანისა და ვ. ნაკაშიძის მიერ შედგენილი „ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონი“, რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. წიგნს წამძღვარებული აქვს აკადემიკოს ა. ზურაბაშვილის წიგნასტყვაობა, რედაქტორია პროფესორი ბ. ნანეიშვილი.

ბ. სვანისა და ვ. ნაკაშიძის „ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონი“ მოიცავს 1.544 სიტყვა-ტერმინს. მასში კარგი ქართული ენით, მოკლედ, ზუსტად და ამომწურავად განმარტებულია ის ტერმინი თუ ცნება, რომელთაც სარგებლობს თანამედროვე კლინიკური ფსიქიატრია. მოწოდებულია აგრეთვე ზოგიერთი ტერმინების განსაზღვრა მოსაზღვრე დისციპლინებიდან (ნევროლოგია, ფიზიოლოგია, ფსიქოლოგია და სხვ.). ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ცალკეული ტერმინები გაშუქებულია ისტორიული თვალსაზრისითაც. საგულისხმოა, რომ ლექსიკონში მოცემულია ტერმინთა და ცნებათა არა მარტო ფორმალური და შინაარსობრივი განმარტება, არამედ, სადაც ეს საჭიროა, აღწერილია ის კლინიკური თავისებურებანიც, რომლებთაც ხასიათდება ამ ტერმინში ნაგულისხმევი სიმპტომკომპლექსები. მკითხველთათვის ბისაწვდომ ფორმულებში გადმოცემული და დახასიათებულია სხვადასხვა დაავადებათა ფსიქოპათოლოგიური თავისებურებანი, არის მითითება მათი ეტიოლოგიის, პათოგენეზისა და მიმდინარეობის შესახებ. ფართოდ არის წარმოდგენილი ის ტერმინებიც, რომლებიც ეხება სხვადასხვა სამკურნალწამლო საშუალებებს და მათი გამოყენების გზებს. ამ მხრივ სარეცენზიო ნაშრომი ერთგვარად „ფსიქიატრიის ცნობარსაც“ კი უტოლდება. ლექსიკონში არის ზოგიერთი ხარვეზიც. მაგალითად, სასურველი იქნებოდა, რომ მითითებული ყოფილიყო ის პირველწყარო, ენა, რომლისგანაც წარმოდგა ესა თუ ის ტერმინი. ლექსიკონში მოყვანილი არ არის ყველა ის ცნება, ტერმინი თუ სიტყვა, რომელიც აბეამად იხმარება ქრესტომათიული ტიპის ფსიქიატრიის სახელმძღვანელოებში და სხვ. ყოველივე აქ აღნიშნული სრულიადაც არ ამცირებს ლექსიკონის ღირსებას, მის გამოყენებითსა და მეცნიერულ მნიშვნელობას.

ბ. სვანისა და ვ. ნაკაშიძის „ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონის“ სახით მკითხველმა მიიღო მეტად საჭირო წიგნი. იგი დიდ სამსაყურს გაუწევს არა მარტო სპეციალისტ ფსიქიატრსა და საერთოდ ფსიქონევროლოგს, არამედ მედიცინის სხვა განყოფილების წარმომადგენლებსაც. ეს ლექსიკონი სასარგებლო იქნება აგრეთვე იურისტებისა და საგამომძიებლო დარგის მუშაკებისთვისაც, რომელთა საქმიანობა, არაიშვიათად, დაკავშირებულია სასამართლო ფსიქიატრიასთან.

ფ. კონტრიძე,
პროფესორი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებისა—99-93-03, 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡ 66443

ფასი 10256

სტ. „ᲙᲝ“-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი, მოსკოვიდან), 10.30 — დოკუმენტური ფილმი „მუსაკალი“ 11.20 — მხატვრული ფილმი „წყნარი დონი“ II სერია (ფერადი), 17.45 — განცხადებები, 17.50 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა, 18.20 — „ნოლის ველზე“, 18.45 — ახალი წიგნები, 19.15 — მილიონთა ლოტინური უნივერსიტეტი“ (ფერადი, მოსკოვიდან), 19.45 — მუსიკალური გადაცემა „პოლონეთი“, 20.25 — ვერნისაჟი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21,30 სპორტიადა კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა, (მოსკოვიდან), 22.35 — მხატვრული ფილმი „მილიონერი ქალი“ (მეორე სერია).

მეორე პროგრამით

18.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.55 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 19.40 — ვანცხადებები, 19.45 — დოკუმენტური ფილმი „მე მაინც მჯერა“ I სერია (ქართულ ენაზე) 20.30 — სატელევიზიო დადგმა „ყვითელი ფოთლების ხანა“ (I სერია), 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფერდინანდი და გარეული ცხოველები (ფერადი).

ᲠᲐᲓᲘᲝ

25 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამით

06.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 08-00 — ვაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.30 — საოპერო მუსიკა, 09,25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — გ. ცაბაძე — სიმღერები, 10,00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — ბ. ვაინბერგი — პირველი სიმფონია, 11.40 — ლენინური გვარდიის ჯარისკაცები — აბელ ენუქიძე, 12.15 — მღერის ფ. კორეული, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.35 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცხობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — სიმღერები მეგობრობაზე, 13.50 — მოსწავლეთათვის — ვაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 14.00—ი. კალმანი — ნაწყვეტები ოპერეტა „ხილვადან“, 14.30 — თეატრი მიკროფონთან — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „ოთარაანთ ქვრივი“, 17.15 — ახალგაზრდების შემოქმედება — ვ. ჭუკლუბაძის სიმფონია, 17.40 — მოსწავლეთათვის — „მოდის თეთრი ზამთარი“ — ლექსები, 18.10 — მსუბუქ